


6481

# ნაბაღუღი



საუმაზვილთ ქურნალი  
მცირეულთვანთათვის

თებერვალი № 4. 1916 წ.

მეცნიერული ჟურნალი

ქართული  
ენათმეცნიერება


წელიწადი მე-111. № 4. თბილისი, 1916 წ.



242

ქართული  
ენათმეცნიერება

თბილისი  
გონიერება



შ ი ნ ა ა რ ს ი: HX-86 026910207

I—სურათი . . . . .	1
II—ყვა-ყვა-ყვა-ყვა!—ლექსი დაე. ელიოზიშვილისა . . . . .	3
III—საქანელა,—გიორგისა . . . . .	5
IV—მდიდარი და მენახშირე,—ზღაპარი ლექსად ჩახრუხაძისა. . .	10
V—აზრეკ,—თარგმანი მარ. იბწვილისა . . . . .	16
VI—მკითხველის წერილები. . . . .	18
VII—შემოწირულება . . . . .	19
VIII—გასართობი,—რეზუსი და აღსნა. . . . .	24

მართალია, ხან-და-ხან  
 მის ეზოში დაუდევარ;  
 ვჭამ უვარგის ნაუბრსა  
 და მით გამაძლარი ვარ.

ბუღბუღი გაფრინდაო,—  
 გული მოსდის ვანოსა;  
 ის კი არ იცის, თუ მე  
 რათ ვარ ამ მიდამოსა.

მიეგარს ჩემი სამშობლო,  
 ვერ უმუხთლებ მასაო;  
 საფხულში და ზამთარშიც  
 მას ვეველები თავსაო.

ის რა ბიჭობა არის,  
 რომ სამშობლო გიეგარდეს  
 მაშინ მხოლოდ, როდესაც  
 შუის სსივი უბრწყინავდეს?..

ეჰ, რაც გსურდეთ, ისა სთქვით,—  
 სდევნეთ უვაზი ეული;  
 მიეგარს მარად სამშობლო,  
 აქ ვარ შემოჩვეული.

უვა, უვა, უვა, ევა!.. ჩემს არეს  
 არ აუხვევ გზასაო;  
 რამდენიც გსურთ მაგინეთ  
 მე საცოდავ უვაგსაო!..

დ. ელიოზიშვილი





## ს ა ქ ა ნ ე ლ ა



იდი მეგობრები იუვნენ ვასო და გიგო! დიდიდან საღამომდის ერთმანეთს არა შორდებოდნენ, ერთად თამაშობდნენ...

მაგრამ ხანდისხან მათ მეგობრობას კინკლაობა მოჭეუებოდა ხოლმე, ზოგჯერ კი საქმე ცემატეუებითაც თავდებოდა.

— ეს რაღა მეგობრობა არისო, თუკი ცემატეუზაც ჭქონდათო? — იკითხავთ თქვენ.

რა თქმა უნდა, ასეთი მეგობრობა არ ვარგა... მაგრამ, ჯერ ერთი ესა, რომ კინკლაობა არც ისე სშირად მოხდით: ბევრიბევრი კვირაში ერთხელ ან ორჯერ თუ დაირკოდნენ... ქორეც ისა, რომ ჩხუბის შემდეგ არ გაივლიდა ათი წუთი, და ისევე შერიგდებოდნენ, ისევე ერთად იუვნენ. ამათ ჩხუბს ზოგჯერ მათი დედა-მამის ჩხუბი მოჭეუებოდა ხოლმე... გიგო და ვასო-კი ამ დროს იდგნენ და გამტყრებული უურებდნენ: არ ესმოდათ, თუ რაზე ჩხუბობდნენ ამათი დედა-მამა.

ჩხუბის მიზეზი, ანუ რომ იტყვიან „ჯანუხის თავი“ ელ-  
ველთვის გიგო იყო. მეტ-სახელად სოფელში მას ზოგი  
„მწვიტინს“, ზოგი „ნემს-მასათას“ ეძახდა.

სამინელი ცელქი და მოუსვენარი ვაჟბატონი ბრძანდებო-  
და. მთელი სოფელი მისკან აკლებული იყო. ვასო ბევრით  
განსხვავდებოდა გიგოსაკან. ეს იყო უფრო წუნარი და თავ-  
დაჭერილი ბავშვი; მაგრამ გიგო ვის არ აიუოლებდა? აბა  
მოდით და ნუ აჭეკები: შენ შენთვის იდგე არსეინად, უცებ  
მოვიდეს ვინმე და თავში ჩაგითხლამუნოს! ან ხელი გტრანს  
გსათ მიძავალს და წუშქეში გატოპინოს...

გიგო და ვასო შესობლად ცხოვრობდნენ და ორივენი  
მასლობელ ქალაქის სკოლაში დაიარებოდნენ.

დილა ადრინა, ჯერ შუე არც-კი იქნებოდა ამოსული, რომ  
ვასო აბგააკიდებული მივიდოდა გიგოსათ სახლთან და გას-  
ძახებდა:

— ჭბა... ი გიგოო!...

გიგოც სახლიდან გაავიწყდა:

— ახლავე, ვასოო... მოვდივარ!

ამასობაში გამოირბენდა გიგოც, ცალის ხელით აბგას  
მოათრევდა, მეორეთი დიდ ლუკმას ზირში იტენდა, თან ქა-  
მარს იკრავდა წელზე და შემდეგ ორივენი ერთად მიცნცუ-  
ლებდნენ სკოლისაკენ. მეტად სასაცილო იყო გიგოს წიგნე-  
ბის აბგა, რომელიც მას ბებიამ შეუკურა: ისეთი დიდი იყო  
ეს აბგა, რომელიც მას ბებიამ შეუკურა: ისეთი დიდი იყო  
ეს აბგა, რომ თვითონაც შიგ ჩამჯდარიყო—ჩაეტეოდა. ჩაწ-  
უობდა შიგ წიგნებს, ორ-სამ ნატეს ჰურს, გადიკიდებდა  
შხარილლივ და გაუდგებოდა გზას.

— ბიჭო, რათ გინდა მაგოდენა ჰური რომ შიგაქვს, შენ  
სომ მაგდენს ვერ შესწამ?—ჭკითხავდა გიგოს დედა.

— დედი, ჩვენთან ერთი ბიჭი სწავლობს, ძალიან ღარი-  
ბია, გუშინ დაობებული მჭადის ნატესი ეჭირა და იმას სწამ-

და. შემომხივლა: ძლიერ მწარე არისო. მეც ავიდე და ჩემი ჰური ზოგი იმას ვაჭამე.

დედაც აღარაფერს ეტყოდა ხოლმე ამასე.

გიგოც და ვასოც ასლად მიუვანილები იყვნენ სკოლაში. ვასომ ძლიერ კარგად დაიწყო სწავლა. გიგოაკი, რასაკვირველია, სკოლაშიაც არ იძლიდა ცუ-



ლქობას და ცუდლუტობას; ამიტომ სწავლაში ცოტათი მოიკოჭლებდა. ამის გამო არა ერთხელ გაჩექმილა ჩვენი გიგოცა, მაგრამ ის მაინც თავისას არ იძლიდა. ხშირად ვასოსე მიუთითებდნენ ხოლმე:

— არა გრცხვენინას, აკერ ვასო რა მშვენიერად სწავლობს, მენაკი ცუდლუტობა და რიგიანად არა სწავლობო!...

ამის შემდეგ ის მაშინვე გაექანებოდა ვასოსკენ და უთუოდ რასმეს უძწვიტინებდა. მოუვიდოდათ ჩხუბი, დაირეოდნენ...

ცოტა ხანს მერეკი ისევ თვითონ მირბოდა ვასოსთან შესარიგებლად.

თუმცა მეტად ცუდი და მწვიტინა იყო ჩვენი გიგოცა, მაგრამ ამასთან გულკეთილიც იყო. მეტადრე ვასოსთვის ის არაფერს არ დაიშურებდა ხოლმე: თუ სადმე იმოკიდა სიღსანი სხვა რამ საჭმელს, უსათუოდ ვასოსაც გაუნაწილებდა.

ზამთარი მიწურული იყო. იმ ზამთარს დიდი თოვლი არ მოსულა, მაგრამ თოვლ-ჭებაიკი ხშირად იყო ხოლმე. ახლა დედამიწა მთლად გაშრა. ჭაერში გასაფხულის სუნი დატრიალდა. ენძელამ და იამ თავი ამოჭყო.

ჩვენი მეგობრებიც ხშირად მირბოდნენ სოფლის ახლოს, ტეის ზირად; იქ ბლომად იყო ია, ენძელა და „ფურის

მუქუ“. შეჭკრაფდენ კონებს და მოარბენინებდენ მინისაჲს. ზოგჯერ მასწავლებელსაც წაუღებდენ ხოლმე თაბიგულებს. თებერვალი გადიოდა. აგერ ვეელიერიც დადგა, მაგრამ ჩვეულებრივი მსიარულება არ ეტეობოდა სოფლებს. სხვა დროს დიდი მსიარულება იცოდნენ ვეელიერში: ბევრგან დიდ კაკლის ხეებსე ჩამოაბამდნენ საქანელებს, ბლომად მოგროვდებოდნენ ახალგაზდა ქალი და ვაჟი და გაიმართებოდა ცეკვა-თამაში. ზოგნი საქანელაზე ქანაობდნენ, ზოგნი თოვლის კუნდაობას თამაშობდნენ და შთელი ერთი კვირა ეოკელ დღე იდგა ეიენა და სიციღლ-სარხარი. ბავშვებსაც ჭკონდათ სის ჰატარა საქანელები და ისინიც ცალკე ქანაობდნენ. წელს ვეულა მოწეენილი იყო, ვეულას თავის დარდი აწუსებდა: ზოგს შვილი ეგულვებოდა ომში, ზოგს—ძმა, ზოგს—ძაძა. ამიტომ აქა-იქ თუ გაიგონებდით დაირის „ტეაჲ-ტეაჲსა“ და „ბუზიკის“ „წიკო-წიკო“-ს.

ვეელიერის სუთმბათის ჩვეულებრივსე ადრე გაუთავდათ ცავეთილები გიგოს და ვასოს და ისინიც შურდულივით გამოექანენ სახლისაკენ.

ჯერ ერთი ესა, რომ „ლახტაობა“ უნდა ეთამაშათ, მეორეც ის, რომ ვასოს დედას ნახუქები უნდა გამოეცნო; მაგრამ შესამე-კი სულ სხვა იყო!...

—იცი ვასო რა გითხრა: ჩემი ძია ნიკო სომ მოვიდა ომიდან: ორი კვირით დაუთხოვიათ. ჰო და ის დამძირდა, ჰატარა საქანელას ჩამოგინამო. ჭირიმე, ჭირიმე! ერთი ვიქანათ მე და შენ საქანელაზე!—ამბობდა და თან კუნტრუშებდა გიგო.

—იცი, სანამ სკოლიდან მოხვალთ, საქანელა მხათ იქნებოა,—ასე მითხრა ნიკო ძიამ.

გიგუნას ბიძას მართლაც კოხტა საქანელა ჩამოება გიგოანთ კაკლის ჰატარა ხეზე, რომელიც იქვე გზაში იდგა.



ერთ უფრო სქელ და სწორედ გაშვებულ ტოტზე ორი ხის რკალი იყო ვაკეთებული. ამ რკალებზე წნელებით იყო დაკიდებული ორი სწორე და გრძელი ხე; ხეებს ბოლოები განხურეტილი ჰქონდათ და იმაში გაბნეული იყო საფეხური. საფეხურის ორივე ბოლოში ჩხირები ანუ ჭინჭილაქები ჰქონდა გაბნეული, რომ საფეხური ხეებიდან არ გამოძვრალიყო. ჭინჭილაქების გამოძვრება ძლიერ საშიშია; ამის გამო ზოგჯერ უბედურებაც დატრიალებულა. ხშირად დიდრონი კაცებიც ჩამოვარდნილან და ძთლად დამტვრეულან.

ვისაც ქანაობა უნდოდა, საფეხურზე უნდა შემდგარიყო, ორივე ხელები ხეებისთვის მოეჭიდანა და მერე ჩაებუნა. ეოველ ჩაბუქნაზე საქანე-

ლა ხან ერთ მხარეს გაქანდებოდა, ხან მეორეს. თუ ვინმე ისე „გაბადლიერებდა“ საქანელას, რომ ფეხს მიაწვდენდა რომელსაჲმე გამოშვებულ ტოტს, იმაზე იტყოდნენ:— „აკინწრა“-ო. უკვლა ცდილობდა, რომ „აკინწრა“.



გიგომ ორჯელსამჯერაც აკინწრა. ახლა ჯერი ვასოზე მიდგა. აკერ მადგა ვასო საფეხურზე, მაგრა მოსჭიდა საქანელას ხელები, ჩაბუქნა და გააქანა. აი სადაც არის მიაწვდენს ფეხს კაკლის ტოტს და „აკინწრავს“...

ამ დროს გიგომ დაუძახა:

— ვასო! ვასო! ჭინჭილაქი გამოსძვრა საქანელასაო!

გიგომ, რასაკვირველია, ტუეილად მოიგონა: ორივე ჭინჭილაქი თავის ადგილას იყო...

ვასო უცვებ გაფითრდა, მუხლები მოეჭრა, კკერდზე გადმოხვდა საფეხურს... „ვაიმე, დედაო!“ — ერთი წილილულუდა და მირს გაიმსლანთა.

გულ-გახეთქილი გიგო მივარდა, მაგრამ ვასო უგრძობლად ეგდო. გიგომ საცოდავი ბღავილი მორთო.

— მიშველეთ, ვასო ჩამოვარდა საქანელიდანაო!

იმის მახილზე მოცვივდნენ გიგოს დედა და სხვა ხალხი. ვასოს დედა თმა-გაწეწილი მოვარდა...

გიგო იქ ამ დროს აღარსად სჩანდა. ვასოს იმკვარძა ეოფამ ისე შეაშინა, რომ თვითონაც არ იცოდა, საით მირბოდა... ბოლოს გაჩერდა ვიღაცის ეზოში: მიინედ-მოინედა და იქვე საქათმე დაინახა. შეძვრა მიგ და ერთ კუნჭულში გაინახა. მთელის ტანით ცანცანებდა.

— ეს რა ვქენიო, — ფიქრობდა ის თავის გულში: — რა ვუეპე ჩემს ვასოს!... — უცვებ გული ამოუჯდა და ცრემლები ღაზაღუპით ჩამოსდიოდა... ახ, ნეტა ვასო კარგათ იუოს!

ამ დროს გიგოს დაეძებდნენ. რამდენჯერმე გაიგონა თავისი სახელი.

— გიგო, მანდ ხომ არსად არისო, — ეკითხებოდნენ ვიღაცას.

— ეჰ, მუკი აქა ვგდივარ, მაგრამ... ახ ნეტა ვასო კარგათ იუოს და ძეტი არაფერი არ მინდა! — იმეორებდა ის გულში. აგერ დაბინდა კიდეც და გიგო ისევ საქათმეში იჯდა.

ქათმები ნელ-ნელა მოიკრიბნენ საქათმის კარებთან. ზირველმა მამალმა შემოაბიჯა საქათმეში შედიღურად.

— ეო-ეო-ეო-ეო! — ემანდა დედლებსა და ვარიებს. შოდით, მოქუხდით, დაძინების დრო არისო!.. ამ დროს გიგოს მოჭკრა თვალი.

— ეს რაღა ცხოველია, აქ რომ ატუსუღა?—და გააბა უშველებელი რუერუეი.

სხვა ქათმებმაც ბანი მისცეს და გაიძარტა ერთი ალიაქოთი.

— რა აფრთხობს ი ქათმებს?—დამახსა ვიღამაც, გიგო, მიხვდა, რომ იქ ეოფნა აღარ შეიძლებოდა: გამოძვრა ჩუმი და გაიპარა.

მაგრამ საით წასულიყო, თვითონაც არ იცოდა. აკერ მიუახლოვდა ვახოანთ სახლს.

არაფერი სმაურობა არ ისმოდა. სიწუნარე იყო.

— ღმერთო, ღმერთო, ნეტა ვასო კარგად იყოს!

ამ დროს გაიღო ვახოანთ სახლის კარები და რა დანახსა გიგომ! ვასო ტახტზე იჯდა და სიცილით რაღაცას ელაზარაკებოდა თავის ჰატარა დას.

გიგო სინარულინავან დაბარბაცდა, კინაღამ წაიქცა.



— ვასო კარგად არის! ვასო კარგად არის!—იმეორებდა გიგო და გახარებული მირბოდა შინისაკენ.

თავიანთ ეზოში რომ შევიდა, ჰირველად მურხა მიეგება და ლაზთიანად გადაკაცნა: მთლად გაულოკა ცხვირ-პირი.

— თავი დამანებე: ახლა შენთვის არა მცხელა! ჩვენი ვასო კარგად არის, ჩვენი ვასო! გაიგე თუ არა, სულელიო?—ძიამახა გიგომ.

ამ დროს დედას მოჰკრა თვალი. გაეჩნა და მოეხვია.

— გუნაცვალე, დედი, მანატიე მე ვისუმრე!

— აბა შეილო,—უთხრა დამშვიდებულმა დედამ, რაკი თავისი დაკარგული გიგო ისევ იხოვა:—განა მაგისტანა სუმრობა შეიძლება? ვიდევ კარგი, კაკლის ქვეშ ძველი თივა რო ურია, ვასო იმაზე დაცემულა. მიწაზე რომ დაცემულიყო, აბა იფიქრე—რა დაემართებოდა!..

— არა, დედი, თავის დღეში მაგისტანას აღარაფერს ვაკეთებ და აღარც შენ ვაწყენინებ როდისმე.

მართლაც რაღაც სასწაული მოსდა და გიგოცა ამის შემდეგ სრულიად გამოიცვალა.

იმისი ძველებური ცელქობა აღარავის გაუგონია.

სწავლამიაც განსწორა საქმე.

ვიორგო.





## მდიდარი და მენახშირე

(ზღაპარი)

### I



ყო ერთი მდიდარი,  
მაგრამ ბუნწი გულითა;  
გროშს გროშზე აწებებდა,  
ვერ ძღვებოდა ფულითა.

ოქრო-ვერცხლის შთა ედგა,  
ეწერა დაბა-სოფლები;  
მაგრამ მაინც ცდილობდა  
გაემარცხა თბლები.

სხვის სუფრასე თუ იჯდა,  
ქეიფობდა გულითა;  
შინ კი კმეუოფილობდა  
მხოლოდ შავი ზურითა.

### II

ერთხელ იგი ბაზარში  
გამოვიდა დილითა;  
ნახა სავსე დუქნები  
სანოვაგით, სილითა.

ხან ამას შეეგებწრა,  
ხან იმას ჩაუსვებდა;  
მაგრამ ხმაც არცინ გასცა,  
რადგან იცნობდა უველა.

და ცოტად დარცხვენილმა  
 ისევე სახლს მიაშურა;  
 რომ გული მოეფხანა,  
 მსახური შეასურა.

გზაზე შეხვდა მეთევზე  
 ხელში ცოცხალ თევზებით;  
 ზირში ნერწყვი მოადგა,  
 ჰკითხა სულის კვეთებით:

— როგორ ჰყვით ამ თევზებს,  
 რამდენ უზალთუნათო?  
 ერთ მანეთად მოგართმევ,  
 თუ წაიღებ სრულათო.

— რას ამბობ, ძმავე?! ძვირია...  
 ამოდენა ფულითო  
 მთელ დღეს გაჯატარებდი  
 ქეიფუკრიმანჭულითო.

ამ დროს თავს წამოადგათ  
 მენახშირე ოძარა; <sup>1)</sup>  
 ზურგზე წამოაკიდა  
 მას ნახშირით ტომარა.

არცაჲი შევაჭრებია:  
 ხელთ ჩაუღო აბაზი.  
 ხომ-კი გავიგონია, —  
 უთხრა, — ჰეტრე ხაბაზი?

მის გვერდით მჭედელია,  
 ბარ-სახსნისის მქნელიო;  
 აღბად გენახულეებ  
 ვაძუსა კაცი, სქელიო?

ამ ნახშირს მას მივუტან,  
 გამოვართმევ ხვედრ ფულსო

<sup>1)</sup> სახელია კაცის.

და დანარჩენსაც მოკცემ,  
 არ დაგწვევებო მით გულსო.

გზას გაუდგენ. მათ უკან  
 გაჭევა ჩვენი მდიდარი;  
 თან თავს ეკითხებოდა:  
 ცხადია, თუ სიზმარი?!

შენახშირე ტებილ ჰურს სჭამს,  
 მე რა ცოდვა მეწია?!  
 და, ამ ფიქრში კართული,  
 ოძარს წამოეწია.

უთხრა:—ერთ რამესა გთხოვ,  
 მოდი ამისრულყო;  
 შემდეგ შენ ჰატივმცემელ  
 მოუვრად მეც მიგულო:  
 სადილად დამჰატიე,  
 რომ ვინილო თვალითო,  
 რა ავლა-დიდება გაქვს,  
 ცხოვრობ რისი ძალითო.

— ბატონი ხარ, მობრძანდი.  
 ჩემი სახლის კარიო,  
 ვინც მიკადრებს, შეწვევა,  
 მარად ღია არიო.

წაიუვანა, კულ-უსვად  
 უმასწინძლა, ახარა:  
 სიღარიბის უფსკრული  
 ჰურადობით დაჭყარა.

### III

ხედავს ჩვენი მდიდარი  
 ქოხს უბრალოს, წახრილსა,

ფარღალაღა კედლებსა,  
 სვეტებს შვაზე გახრილსა;  
 ცარიელ ტახტს, ძველ ფარდაგს,  
 ფესშიშველა ბაღვებსა,  
 პაგრამ გულ-მხიარულებს,  
 დარდის თან არ წაძლებსა...  
 ხედავს და ძალზე უკვირს;  
 —რატომ ხდება ასეო:  
 დარიბი—მხიარულობს,  
 მე—ჯავრით ვარ სავსეო?!  
 იმას-კი ვერ მიმხდარა  
 მისი ჭკუა-ტონება,  
 რომ მიზეზი ამისი  
 არის ოქროს მონება.

## IV

როცა გამოეთხოვა,  
 უთხრა:—მეგობარო,  
 უური მიკდე, მწაღია  
 რაზე დაგობარო.

ხვალ სადილად შეწვიე:  
 ერთად ვჭამოთ ზურიო,  
 თუ გინდა, რომ არ დარჩე  
 ბედის უმადურიო.

და წავიდა... მეორე  
 დღეს შენახშირე ჩვენი  
 მიაღება მდიდარს კარზე,  
 თითქო მიჭქონდა მღვენი.

ისაღილე... და როცა  
 საღამომ მოატანა,



ერთი ტოფსიკა<sup>1)</sup> ოქრო  
თანვე გამოატანა.

შინ მოვიდა სირბილით  
და თავის ცოლს ახარა;  
მანც დაუდგა ბათმანი<sup>2)</sup>  
და ოქრო შიგ ჩაუარა.

ორი თითი დააკლდა,  
პირამდე არ აივსო.  
იმ დღის შემდეგ მათ გულში  
შვეების ცეცხლი დაივსო.

სთქვეს:--პირამდე მოვეუბროთ,  
ნუ დავტოვებთ ნაკლულსო,  
რომ გულს შეგჭად არ ჰქონდეს,  
სიღარიბით ჩაბრუნდესო.

მუშაობდნენ... სულისთვის  
ვერაფერს იმეტებდნენ,  
გროშს გროშზე აწებებდნენ  
და იმას უმატებდნენ.

მარცვა-გლეჯვის სურვილიც  
ნელ-ნელ შემოეპარათ;  
მუდამ იმას ფიქრობდნენ,—  
ვისთვის რა მოეპარათ.

და ამკვარად დღე ღამეს  
და ღამე დღეს მისდევდა,  
ის კი არ ივსებოდა,  
თითქო დაბლა იწევდა.

ითმინა მენახშირემ,  
ბოლოს ვერ აიტანა;

1) პატარა ტომარია.—2) სიმინდის სარწყავი.

დაავლო ოქროს სელი,  
ძველ ზატრონს მიუტანა.

უთხრა:—რა შინ წავიდე  
ეს ლითონი კრულიო,  
შემდეგ სიხარბის გველმა  
გამოძინრა გულიო.

და გამოზდა... სასძირით  
მოიკიდა ტომარა  
და კვლავ გამსიარულდა  
ხვეულებრივ ოძარა.

ჩაბრუხადე





# აზრეკ

(ცხენის თავგადასახველი).



მ დროიდან მასსოვს ჩემი თავი, ჰატარა რუ-  
ხი კვიცი რომ ვიუავი და დედაჩემს განუშო-  
რებლივ უკან დაუსდევდი ნილოსის<sup>1)</sup> ვრცელ  
ნაპირებზე. შორს, ცის ტატნობზე მოჩანდა  
ეგვიპტეს ჰირამიდები. ერთ ალაგას თავმო-  
ურილ ჰაღმებს ქვეშეკი გაშლილი იყო ჩემი ჰატრონის კარბა-  
ვი. შემოდან ლურჯი, მჭვირვალე ცა დამნათებდა და სიცო-  
ცხლეს მამინ ისეთი თავისუფალი და მშვენიერი მეჩვენებოდა,  
როგორც უდარდელი ბავშვის ძილი. დედაჩემი თვალრიდან არ  
მიშორებდა, და თუ სადმე დავიძალებოდი, მაშინვე დაბადის  
ფრუტუნით დამიძახებდა. ჩვენი ჰატრონი სძირად მოდიოდა  
ჩვენთან და გვიბლერსებდა. როგორცა სჩანდა,—დედაჩემი კარგი  
შთამომავლობისა უნდა ეოფილიყო, რადგანაც ჩვენი ჰატრო-  
ნი ალერსის დროს სძირად ეუბნებოდა:

—ო, დინა, ჩემო შეუდარებელო ცხენო, ჩემო ერთგულო,  
მასლობელო მეკობარო! კისერი გაქვს სირაქლეძისა, ღონიე-  
რი ხარ, როგორც აქლემი, სწრაფი, როგორც მემებარი, ნახი  
ხარ მტრედით და ღამაში ძუ ღომსავით. თვალები მშუქარე  
ვარსკვლავებს, ნესტოები კი—ორ ნაღვერდალს მიგივავს. ტუეი-  
ლადკი არა ხარ ჩამომავალი იმ ცხენისა, რომელზედაც საძი  
ათასი წლის წინად თვით ისრაელთა მეფე სოლომონი იჯდა.

მისართადა, როდესაც ის ასე ექცეოდა დედაჩემს, მაგრამ მაშინ ჯერ  
ასაღკაზდა ვიუავი და ჩემ შთამომავლობას არაფრად ვაკადებდი.

<sup>1)</sup> დიდი მდინარე ეგვიპტეში.

როცა ნახევარი წლის გავსდი, ჩემ ჰატრონთან მოვიდა ვიღაც არაბი და შევეჯგრა ჩემ თავს.

— თუ ნებით არ მომეიდი ამ კვიცს,— უთხრა არაბმა ჩემ ჰატრონს,— იძულებული ვიქნები ან მოგპარო, ან კიდევ ძალით წაგართვა. მას აქეთ, რაც ეკ დავინახე, უპამსოდ გაძლება აღარ შემიძლია! შენ თვითონ იცი, რას ნიშნავს არაბისათვის ამისთანა ცხენი.

— ამან მხოლოდ წარსულ კვირას გაუშვა ძუძუ!— მიუგო ჩემმა ჰატრონმა:— ჯერ კიდევ სულ ჰატარა.

— მე გავწვრთენი და ჩემ ძეგობრად გავსდი. მე ეკ უფრო ძევეარება, ვიდრე ჩემი ნაინა, ურომლისოდ ცხოვრება არ შემიძლია.

ამის შემდეგ ისინი შევიდნენ კარავში და დიდხანს არ გამოსულან იქიდან. როცა დაღამდა და ცაში ვარსკვლავები განაღდნენ, გამოვიდა ჩემი ჰატრონი, გადამიგდო კისერზე აღვირი, გადამისვა ხელი და მაკოცა ნესტოებ შუა.

— მშვიდობით, ჩემო ლამაზო:— ოხერით წარმოსთქვა ჩემმა ჰატრონმა ეს გადასცა ჩემი თავი სტუმარს. ის კი აღტაცებით მომესვია კისერზე. თვალებზე ცრემლები შევნიშნე.

— გაუფრთხილდი, აზრაილ, ამ კვიცს,— უთხრა მას ჩემმა წინანდელმა ჰატრონმა:— მვილივით გიკვარდეს! ეკ იუოს შენი ერთგული ძეგობარი!

— აზრეკს დავარქმევ,— მიუგო სტუმარმა,— რაც ნიშნავს ჰატარა აზრაილს. სომ ჰესედავ, ვაძლევ სახელს, რომელიც ბავშვობაში მიტარებია.

აი, სწორედ ამ დღიდან აზრეკი დამერქვა.

გაკვირვებულმა დედამ სვიხვინით გამომაცილა, მეც გულსაკლავი სვიხვინითვე ვუპასუხე, მაგრამ— რა გავწუბობდა. მორჩილად გავეე ჩემს ახალ ჰატრონს. სძირად ვიხედებოდი უკან და ვხედავდი დედაჩემსა და ჩემ ჰატრონს, რომელნიც კარავთან იდგნენ და შორიდან მიცქერდნენ.

მეორე დილას არაბების ერთ დიდ სოფელში, გაუნდი სახლს დაუინახე თეთრი ქვის სახლები. სახლების წინ აძართულიყუნენ ძაღალი ზაღმები; იქვე ჩამონუსნუსებდა ანკარა წყარო. ცა ისეთი ლურჯი და სახლები კიდევ ისეთი თეთრი იყო, რომ მათი ცქერა შხის შუქზე თვალსა მჭრიდა. კაცი, ქალი, ბავშვი—სუეველა შემომესვია, ეველა სელს მისვამდა ზურგზე, მკალერსებოდა.

ამ დროს შემომესმა:

—აჰ, ნამდვილი კვიცი ეს არის! კვიცი კი არა,—გეღია, გეღი. ეს ცსენი კი არა—ლომი იქნება.

როდესაც აღტაცება ჩანელდა და ხალხიც დაიშალა, ზატრონმა წამიყვანა გრილ სადგომში და იქ დიდხანს ვისვენებდი. ერთი ზატარა ოთხი წლის გოგონა მოირბენდა სოლმე ჩემთან და შემომეურებდა განარებული და თან გაკვირვებული თვალთ მიცქერდა.

—ოჰ, ნაინა!—უთხრა მას ჩემმა ზატრონმა,—რატომ ვაჟი არ ხარ? რატომ წინასწარმეტეველმა არ დამლოცა და მომიკლა ვაჟი, ისეთივე მშვენიერი, როგორც ეს კვიცია ცსენებ შორის. ასლა სომ ის მოუვლიდა, მოეფერებოდა და განწრთენიდა თავისათვის. ო, ნაინა, რატომ ვაჟი არ ხარ?

უოკვლდღე დაევაჯდი ჩემ ზატრონს საბალახოდ; მასუფთავებდა, მივილიდა; არჩეულ მარცვალს მაჭმეკვდა; სუფთა ციფ წეალს მასმეკვდა და თან ისე ფაქისად და სიფარულით მექცეოდა, რომ მისი შვილი ნაინა მე შემნატროდა. ბავშვი შუდამ ჩემთან იყო და აღტაცებით მიცქერდა. ხშირად, როდესაც მამა მისი წავიდოდა სოლმე, შემოვიდოდა ჩემთან, ლოჯას გულზე მომაღებდა და სევედიანად მეუბნებოდა:

—ოჰ, ახრეკე, რატომ ვაჟი არ ვარ?

როდესაც ორი წელიწადი შემისრულდა, ჩემმა ზატრონმა დამადგა ზურგზე უნაკირი და ასე მატარა მთელი წელიწადი. მხედნიდა. ხან შემავდებოდა ნაინა. მე ქუნაში დავრბოდი,

ის კი ბავშვური სისარულით გაჰკიოდა. მე მიუვარდა ეს ჰატარა გოგონა. ზირველ შესვედრიდანვე შევეჩვიე და მასთან ერთად ვწუხდი, რომ იგი ვაჟი არ იყო. რანაირი აღტაცებით ვატარებდი მამინ!

როცა ოთხი წელიწადი შეძისრულდა, ჩემი ჰატრონიც შემჯდებოდა სოლმე. ექვსი წლისა უკვე დიდი ცხენი გავსდი; შვიდისაკი ჩემი ჰატრონის მუდმივი საჯდომი ცხენი ვიყავი. ამ დროს ნაინა ცხრა წლისა იყო. მე და იმას ისე გვიუვარდა ერთმანეთი, რომ ვერ ვძლებდით უერთმანეთოდ.

— შვიდი წელიწადი მე ვემსახურე; ახლა შენ მემსახურე შვიდი წელიწადი. შვიდი წლის შემდეგ დაგასვენებ,—მითხრა ერთხელ ჩემმა ჰატრონმა.

ამის შემდეგ სძირად მხედნიდა. შემჯდებოდა და თავს ესხმოდა მესობელ ზანგებს. მეც ისე ვემსახურებოდი, რომ აღტაცებით მიცქეროდა.


— შენ ქარიშხალსე სწრაფი ხარ,—მეუბნებოდა ჩემი ჰატრონი:—ბეულაში არწივსავით გიჭრის თვალი და მერცხალივით მარჯვე ხარ. ცხენი კი არა, ჩემი მეგობარი, ჩემი შვილი ხარ!

ეველა მისი სურვილი მესმოდა, ვიდრე ის გაიფიქრებდა. დიდი ხნის უნახაობის შემდეგ ნაინას რომ დაგინახავდი და შორიდან ღიმილს შევამჩნევდი, მეც სისარულით ვჭისვინებდი სოლმე. ის გამოძეგებებოდა, მაჭმევდა ჰურს, მასმევდა წუაროს წებას და ნესტოების შუა მკოცნიდა.

— ოჰ, ჩემო აზრეკე,—მეუბნებოდა იგი ცრემლებისაგან აკანკალეხულის სმით:—რატომ ჭაბუკი არა ვარ? როგორ გავიროთებდი!

მარო იაშვილი.

(დასასრული იქნება)



## წერილები რედაქციის მიმართ.

I

ბატონო ძია შიო!

აროდეს ისე არ მომნატრებია ვისიმე სიცოცხლე, და ან ნახვა, როგორც თქვენი. თქვენმა მოჭიკჭიკე ენამ შემაუფარა „ნაუადული“. შემიუვარდა ქართული კითხვა და განსაკუთრებით ის წიგნები, სადაც თქვენი ლექსები იყო. ეს მჭირფასი განძია ჩემთვის.

ჭიათურის საქალებო და სავაჟო სასწავლებელში გვსურს გავმართოთ თქვენ ჰატივსაცემად საღამო. ეს ჩვენთვის სანეტარო დღე იქნება.

მასწავლებელმა ბეური რამე გველაზარაკა თქვენზე და ისიც გვითხრა, რომ ძია შიოს მოვიწვევოთ. სასიამოვნო ამბავია. იუავით ვანშროთელად, დიდხანს იცოცხლეთ, ჩვენდა სასიხარულოდ.

თქვენი ნახვის მონატრული ვენერა ალექსანდრე ხაბულიანის ასული.

II

ქანო რედაქტორო!

ჩვენ, სამურის გომნაზიის საანბანო განუოფილების მოწაფეებმა, შევაგროვეთ ჩვენი კარდაცვლილი ამხანაგის მიშა ჩა-

ლამის სახსოვრად სამი მხნეთი, რომელსაც გიგზავნით და გთხოვთ გადასცეთ დაზარალებულ აჭარელ ბავშვთა სასარგებლოდ.

ამხანაგების მონდობილობით ევგენი ხილაგაძე.

# რეზუსი

(წარმოდგენილი ციცინოს მიერ)



„ თ „

„ 9 „

ს




„ ი „

საილგომოთ რასკლავენ?

1-ლ №-ში მოთავსებულ რეზუსის აღსნა:

ახალწელიწადს გილოცავთ, შაქარსავეთ დაქარსებულთ.





## „ნაკადული“-ს რედაქციაში

და

წიკრ-კითხვის საგომადოების წიგნის გავლენაში იქილება შემდეგი წიგნები:

- 1) ტომის თავგადასავალი, — თხზ. მარკ ტვენისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი . . . . . 50 კ.
- 2) რას გვიამბობს ოთახი, — თხზ. ავენარიუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი . . . . . 20 კ.
- 3) საუმაწვილო მოთხრობები, — ნინო ნაკაშიძის ფასი . . . . . 10 კ.
- 4) სერუჯი და მარლეი, — საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 25 კ.
- 5) დასურათებული საუმაწვილო მოთხრობები პ. კ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი. . . . . 30 კ.
- 6) ბავშვობა და სიყრმე, — მოთხრობა ლევ. ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი. . . . . 60 კ.
- 7) ორი მხატვარი, — თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . . . . . 15 კ.
- 8) სამშობლო ბუნების ხარკე, დასურათებული საუმაწვილო მოთხრობები, — ივანე ელიაშვილისა, ფასი, . . . . . 30 კ.
- 9) შობა, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, — ნინო ნაკაშიძისა, ფასი. . . . . 5 კ.
- 10) ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგოისტი, ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაკეფარიანისა, ფასი. . . . . 5 კ.
- 11) დათო, — ირ. ვედოშვილისა, დიდების მაძიებელი, თარგმ ალ. შანშიაშვილისა, ფასი. . . . . 5 კ.
- 12) მოთხრობები, — ლაგერლეფისა და სხვა უცხო მწერლებისა. . . . . 5 კ.
- 13) იგავ-არაქნი, — 125 დასურათებული, პატარა მოთხრობა, ავტორის სურათით, ალ. მირიანაშვილისა, ფასი. . . . . 75 კ.
- 14) ბიძია თომას ქოხი, — რომანი ბიჩერ-სტოუსი ზანგთა განთავსუფლებების დროისა, სურათებითა და ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიშიაშვილისა. 1 მ. 25 კ.

# 1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

## „ნაკადული“-ზე

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შუახნალი გამოცემის თვეში ორჯერ

**24 წიგნი** „ნაკადულისა“ **12 წიგნი** „ნაკადულისა“  
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილიადაც.

ვსთხოვთ ხელის მოწერალებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და აღრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. აღრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება ჩარკებით გამოგზავნოს.

### ხელის მოწერა მიიღება

**ტფილისში**— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახელი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითას ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძისთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთაფრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიშვილთან. **ბათუმში**—ტროფიმ ინსაარიძისთან ფოსტაში, ტ სამსონ ყაზაიშვილთან უპრავეში. **ოზურგეთში** ტ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძისთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძისთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძისთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოპურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. კავჭანიძისთან. **მინაილივოში**—გეორგი ნაკაშიძისთან. **ყვირილაში**—ნინო ფერაძისთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე  
გამომცემელი ტ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

